ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
Newsletter
დეკემბერი 31, 2025

საახალწლო კარნავალი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის წინა საახალწლო კარნავალი მოაწყო. ღონისძიებაზე მრავალფეროვანი გასართობი პროგრამით წარიმართა.

დეკემბრის სიახლეები

“ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის” შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სტუდენტები იმყოფებოდნენ პარტნიორი კომპანიის - შპს „კერა კონსტრაქშენის“ სამშენებლო ობიექტზე. ვიზიტის ფარგლებში მასწავლებელმა სტუდენტებს გააცნო პროფესიის არსი და ვალდებულებები, დასაქმების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

სასწავლო ვიზიტი

აკადემიის აღმზრდელის პროფესიული პროგრამის სტუდენტები სასწავლო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ბაგა-ბაღში. სტუდენტებს გაეცნოთ პროფესიული ვალდებულებები, ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები, შრომითი ურთიერთობების, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები.

განსაკუთრებული სიახლე

სიცოცხლის გადასარჩენად უნიკალური თანამედროვე დეფიბრილატორი უკვე საჩხერის ფილიალშიც!

SkillsUp Network-მა წარმოადგინა HORECA-ს დარგობრივი უნარების შესაძლებლობების შეფასების ანგარიში. შეხვედრას ესწრებოდნენ HORECA სექტორის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, პროფესიული განათლების პროვაიდერები, უნარების განვითარების სისტემის ექსპერტები და დონორი ორგანიზაციები.

აკადემიის მასწავლებლის წარმატება

BTA-ს მხარდაჭერით, აკადემიის მასწავლებელი “განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა” და “პროფესიული უნარების სააგენტოს” კონკურსში საუკეთესო კანდიდატებს შორის შეირჩა და ესტონეთში Front-end დეველოპმენტის მიმართულებით პროფესიული განათლების საერთაშორისო სასწავლო პროექტში მიიღო მონაწილეობა.

საბაჟო საქმის პროგრამის ფიზიკური პირის კონტროლის მოდულის ფარგლებში ჩატარდა ფიზიკური პირის გამოკითხვისა და დათვალიერების სიმულაციური პროცედურები, ასევე - პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის პრაქტიკული დემონსტრაცია.

www.bta.edu.ge btaedu@yahoo.com 593 30 32 11